ხელშეკრულება № 14

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წყალტუბო 15.06.2016წელი

ერთის მხრივ, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ელისო დანგაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „არქიტექტი"-ს დირექტორი იაკობ ჭიღლაძე (შემდგომში - მიმწოდებელი) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლაში ელ. გაყვანილობის და ოთახების მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის (ტექნიკური დოკუმენტაციის) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 კალენდარული ვადაში ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა,

აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016წ 31 ივლისამდე.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს „არქიტექტი“	სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლა
მისამართი: ქ. ქუთაის ივ. ჯავახიშვილის I შეს. 22/120 ტელეფონი: 551747406	მისამართი: სოფ. გუმათი ტელეფონი: 595932328 საიდენტიფიკაციო კოდი: 221300036
საიდენტიფიკაციო კოდი 412686669	საბანკო რეკვიზიტები: სს საქართველოს ბანკი
საბანკო რეკვიზიტები: სს თბს ბანკი	საბანკო კოდი: BAGAGE22
ქუთაისის ფილიალი	ანგარიშსწორების ანგარიში: GE05BG0000000119479500
საბანკო კოდი: TBCBGE22	
ანგარიშსწორების	
ანგარიში: GE19TB7020236080100003	
დირექტორი იაკობ ჭიღლაძე	დირექტორი ელისო დანგაძე
---	---

შპს „არქიტექტი“

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლაში ელ. გაყვანილობის და ოთახების მოწყობის სამუშაოების

ტექნიკური დოკუმენტაცია

შპს „არქიტექტი“-ს

დირექტორი ი. ჯიღლაძე

წყალტუბო 2016 წელი

განმარტებითი ბარათი

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლაში ელ. გაყვანილობის და ოთახების მოწყობის სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია თანახმად საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს 2002 წლის 25 აგვისტოს №48 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდური მითითებების საფუძველზე რესურსული მეთოდით საბაზო აღებულია СНиП 4.02-82, ხოლო რესურსისათვის სამშენებლო რესურსების ფასები 2016 წლის II კვარტალი.

ხარჯთაღრიცხვაში მიღებულია შემდეგი დარიცხვები.

1 ზედნადები ხარჯები საამშენებლო ნაწილზე 10%
2 გეგმიური დაგროვება 8%
3 ზედნადები ხარჯები ელ სამონტაჟო ნაწილზე 75%
4 გაუთვალისწინებელი ხარჯები 3%
5 დღგ 18%

შპს „არქიტექტი“ - ს

დირექტორი ი. ჭიღლაძე

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლაში ელ. გაყვანილობის და ოთახების მოწყობის სამუშაოების

ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

ფუძველი	ს ა მ უ შ ა ო ს დასახელება	განზ.	ნორმატიული რესურსი		ხელფასი		მასალა		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
			ერთეულზე	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
	ოთახები I										
46-30-1	**ხის იატაკის დაზიანებული ნაწილის დემონტაჟი**	100კვ.მ.		0,8							75,44
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	20,50	16,40	4,60	75,44					
	მანქანები	ლარი	7,80	6,24					3,20	19,97	19,97
	ხის იატაკის მოწყობა	$100მ^2$		0,03							
11-27-2	შრომითი რესურსები	კაც/სთ	85,10	2,55	6,00	15,32					15,32
	მანქანები	ლარი	4,83	0,14					3,20	0,46	0,46
	ლურსმანი	კგ	23,300	0,699			3,00	2,10			2,10
	ხის იატაკი უშიპო	$მ^2$		80,000			16,80	1 344,00			1 344,00
	დარბაზში ხის იატაკის მოწყობა არსებული იატაკის ფიცრის გამოყენებით	$100მ^2$		0,30							
11-27-2	შრომითი რესურსები	კაც/სთ	85,10	25,53	6,00	153,18					153,18
	მანქანები	ლარი	4,83	1,45					3,20	4,64	4,64
	ლურსმანი	კგ	23,300	6,990			3,00	20,97			20,97
15-160-3	**ხის იატაკის შეღებვა**	100კვ.მ.		0,8000							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	74,10	59,28	6,00	355,68					355,68
	მანქანები	ლარი	0,100	0,080					3,20	0,26	0,26
	ზეთოვანი საღებავი	კგ	38,20	30,56			6,00	183,36			183,36
	სხვა ხარჯები	ლარი	1,70	1,36			3,20	4,35			4,35
	I-II სართული ელ.სამონტაჟო სამუშაოები										
46-20-1	**აგურის კედლებში არხების მოწობა ელ. კაბელის დასამონტაჟებლად**	100მ		0,70000							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	13,70	9,59	4,60	44,11					44,11
	მანქანები	ლარი	5,90	4,13					3,20	13,22	13,22
46-21-4	**ბეტონის ჭერებში არხების მოწობა ელ. კაბელის დასამონტაჟებლად**	100მ		0,45000							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	36,60	16,47	4,60	75,76					75,76
	მანქანები	ლარი	14,00	6,30					3,20	20,16	20,16
46-18-1	**აგურის კედლებში ნახვრეტების მოწყობა**	100ცალი		0,24000							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	17,60	4,22	4,60	19,43					19,43
	მანქანები	ლარი	1,56	0,37					3,20	1,20	1,20
5-22-7 (გამ)	**არხების და ნახვრეტების შევსება როტბანდით**	$1მ^3$		1,15000							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	20,60	23,69	4,60	108,97					108,97
	მანქანები	ლარი	0,60	0,69					3,20	2,21	2,21
მოანგარიშებით	როტბანდი	კგ		7,00			0,25	1,75			1,75

		ჯამი					847,90		1 556,53		62,11	2
		ზედნადები ხარჯები	10%				84,79		155,65		6,21	
		ჯამი					932,69		1 712,18		68,32	
		გეგმიური მოგება	8%				74,62		136,97		5,47	21
		ჯამი					1 007,30		1 849,16		73,78	29
		ელ. სამონტაჟო სამუშაოები										
1	8-591-9	ჩამრთველის მონტაჟი	100ცალი		0,260							
	СНиП IV-6-82	შრომითი რესურსები	კაც/სთ	27,00	7,020	6,00	42,12					
	СБОРНИК 8. ЭЛЕКТРОТЕХ НИЧЕСКИЕ УСТАНОВКИ	ჩამრთველი	ცალი	100,00	26,00			3,50	91,00			
2	8-591-9	შტეფსელების მონტაჟი	100ცალი		0,320							
	СНиП IV-6-82	შრომითი რესურსები	კაც/სთ	27,00	8,640	3,50	30,24					
	СБОРНИК 8. ЭЛЕКТРОТЕХ НИЧЕСКИЕ УСТАНОВКИ	შტეფსელი	ცალი	100,00	32,00	6,00		3,50	112,00			
3	8-409-1	სპილენძის სადენის 2X2,5მმ^2 მონტაჟი	მ		450,00							
	СНиП IV-6-82	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0,04	18,00	6,00	108,00					
	СБОРНИК 8. ЭЛЕКТРОТЕХ НИЧЕСКИЕ УСТАНОВКИ	სხვა მანქანა	ლარი	0,0233	10,49					3,20	33,55	
		მასალა:										
		სპილენძის სადენი კვეთით 2X2,5მმ^2 ორმაგი იზოლიაციით	მ		450,00			1,02	459,00			
4		პიონები 25ა	ც		14,00			4,00	56,00			
5		ყუთი პიონებისათვის	ც		2,00			8,00	16,00			
		ჯამი					180,36		734,00		33,55	
		ზედნადები ხარჯები მონტაჟზე	75%				135,27					1
		ჯამი					315,63		734,00		33,55	10
		სახარჯთაღრიცხვო მოგება	8%				25,25		58,72		2,68	8
		ჯამი					340,88		792,72		36,24	11
		სულ ჯამი					1 348,18		2 641,88		110,02	
		გაუთვალისწინებელი ხარჯები	3%				40,45		79,26		3,30	
		ჯამი					1 388,63		2 721,13		113,32	
		დღგ	18%				249,95		489,80		20,40	
		ჯამი					1 638,58		3 210,94		133,72	

დირექტორი

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლაში ელ. გაყვანილობის
და ოთახების მოწყობის სამუშაოების
ტექნიკური დოკუმენტაციის

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. წყალტუბო 20 ივნისი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერებმა, შპს „არქიტექტი"-ს დირექტორმა იაკობ ჭიღლაძემ და სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლის დირექტორმა ელისო დანგაძემ 2016 წლის 15 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების ნიშნად შევადგინეთ მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც შპს „არქიტექტი"-ს დირექტორი იაკობ ჭიღლაძე აბარებს, ხოლო სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლის დირექტორი ელისო დანგაძე იბარებს, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლაში ელ. გაყვანილობის და ოთახების მოწყობის სამუშაოების ტექნიკურ დოკუმენტაციებს ღირებულებით 100 (ასი) ლარი.

ვადასტურებთ ხელმოწერით

შპს „არქიტექტი" - ს

დირექტორი ი. ჭიღლაძე

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმათის საჯარო სკოლის

დირექტორის ე. დანგაძე